<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა
V ქუჩა
ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩა
ელენე მეტრეველის ქუჩა
UN1879703
UN1880856
UN1882644
UN1883652
UN1884213
UN1882510

აზა ადამია

(1968-1989)

სტუდენტი, 9 აპრილის ტრაგედიის გმირი, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით.

დაიბადა 1968 წელს ქალაქ მარტვილში. მარტვილის მე-2 საჯარო სკოლის დამთავრებისთანავე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩაირიცხა სამრეწველო-სამშენებლო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, დაუსწრებელზე სწავლობდა და მარტვილში რამდენიმე ადგილას, მათ შორის მუსიკის მასწავლებლადაც მუშაობდა.

1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს. დაკრძალულია მარტვილში.

აზა ადამიას სახელი აქვს მინიჭებული მარტვილის მეორე საჯარო სკოლას, რომლის ეზოშიც 2009 წელს მისი ძეგლი დადგეს. მის სახელს ატარებს მარტვილის ერთ-ერთი ქუჩაც.

2014 წლის 9 აპრილს, ტრაგიკული მოვლენებიდან 25 წლის თავზე საქართველოს პრეზიდენტმა ოჯახის წევრებს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი გადასცა.